ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №73

19.11.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
11:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (**01-01213193251; 15.11.2021**);

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032132137-03; 17.11.2021);**

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032131933-03; 15.11.2021);**

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032131933-03; 15.11.2021).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - შალვა ოგბაიძე

მომხსენებლები:

- **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა -** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

შ.ოგბაიძე - მომხსენებელს ვთხოვ წარმოადგინოს დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი.

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (01-01213193251; 15.11.2021).**

გ.თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განსაზღვრულია **1 199 917,0 ათასი ლარით,** რაც 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან **(1 050 302,5 ათასი ლარი)** მიმართებაში გაზრდილია 149 614,5 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - **224 753,9 ათასი ლარით.**
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - **236 062,6 ათასი ლარით.**
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - **138 817,1 ათასი ლარით.**
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - **1 845,0 ათასი ლარით.**
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - **41 115,2 ათასი ლარით.**
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - **176 487,0 ათასი ლარით.**
- განათლება - **202 686,9 ათასი ლარით.**
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - **43 805,5 ათასი ლარით.**
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - **5 217,8 ათასი ლარით.**

- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - **129 126,3 ათასი ლარით.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია **918 438,8 ათასი ლარით,** მათ შორის: შრომის ანაზღაურება **86 118,5 ათასი ლარით,** საქონელი და მომსახურება **143 818,6 ათასი ლარით,** პროცენტი **11 279,9 ათასი ლარით**, სუბსიდიები **281 163,4 ათასი ლარით,** გრანტები **485,7 ათასი ლარით**, სოციალური უზრუნველყოფა **168 892,8 ათასი ლარით,** სხვა ხარჯები **226 680,1 ათასი ლარით.**

2022 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **20 530,6 ათასი ლარით,** რაც ნიშნავს იმას, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია **1 144 817,0 ათასი** ლარით, სხვა შემოსავლები **173 443,8 ლარით.** მათ შორის, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე (შემოსულობების კოდი: 14223993) **1 022,3 ათასი** ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით ასევე გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა. ვალის საპროგნოზო მოცულობა 2022 წლის ბოლოსთვის განსაზღვრულია **1 008 054,9 ათასი ლარის** ოდენობით. მათ შორის:

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება **(კოდი 10 42) 16 395,8 ათასი** ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის (euro 6) ადაპტირებული ავტობუსებით.

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა **(კოდი 10 47) 3 200,0 ათასი** ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის ადაპტირებული ავტობუსებით. ასევე, ავტობაზის მშენებლობა.

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება III ფაზა **(კოდი 10 25) 3 320,0 ათასი ლარით.** პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ

აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის ადაპტირებული ავტობუსებით. ასევე, ავტობაზის მშენებლობა.

- თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება **(კოდი 10 48) 3 000,0 ათასი ლარით.** პროგრამა ემსახურება მეტროს რეაბილიტაციის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში, განხორციელდება ახალი, თანამედროვე, ევროპული სტანდარტის მეტროს ვაგონების შესყიდვა, დეპოს და შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი - **505,0 ათასი ლარი** გათვალისწინებულია გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის განსახორციელებლად.

პროექტის თანახმად, 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განსაზღვრულია **5,000.0 ათასი ლარის** ოდენობით.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, **ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (კოდი 01 02)** განსაზღვრულია **139 692,6 ათასი** ლარით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების დაფინასება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) **15 442,6 ათასი** ლარით.
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) **94 250,0 ათასი** ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის ავტობუსების პროექტის III ფაზის ფარგლებში ავტობუსების და თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონების შეძენასთან დაკავშირებით დამატებული ღირებულების გადასახადი. ასევე, დაგეგმილია მგზავრთა მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახალი ავტობუსების შეძენა. კონკრეტულად, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 180 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენა **(62 000 000 ლარი)**, „თბილისის ავტობუსების პროექტის ფარგლებში“ ავტობაზის მშენებლობა და 200 ერთეული M3 კატეგორიის 18 მეტრიანი ავტობუსის შემოყვანა **(11 250 000 ლარი),** 40 ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონების შესყიდვა, დეპოს და შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია **(21 000 000 ლარი)** თბილისის მეტროს პროექტის სესხის ფარგლებში.
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) **30 000,0 ათასი** ლარით.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ქვეპროგრამა **საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება** (კოდი 06 02 11) დაფინანსებულია **37 000,0 ათასი** ლარით.

პროექტის თანახმად, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) დაფინანსებულია **4 571,6 ლარით.**

შ.ოგბაიძე - მიგვაჩნია, რომ მთლიანობაში, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის, მათ შორის, ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი/განსახორციელებელი ღონისძიებები კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდება მასშტაბური სამუშაოები, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი, საგზაო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის სისტემა. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მგზავრთა უსაფრთხო, კომფორტულ და სწრაფ გადაადგილებას. თუმცა, 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში ქვეპროგრამისთვის - **სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05)** გათვალისწინებულია **30 000,0 ათასი** ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში, სუბსიდიის სახით უნდა დაფინანსდეს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები. როგორც ცნობილია, სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში მთლიანად უნდა ჩაერთოს M2 კატეგორიის ავტობუსის 1000 ერთეული, ასევე, 2022 წლისთვის იგეგმება M3 კატეგორიის 18 მეტრიანი და 8 მეტრიანი ავტობუსების შეძენა, რომლებიც მარშრუტებზე გაშვების შემდგომ, ავტომატურად უნდა ჩაერთონ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში. მოცემული ღონისძიებების მასშტაბებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული თანხა **(30 000,0 ათასი ლარი)** არ არის საკმარისი ქვეპროგრამის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის. აქედან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს ზ/ა ქვეპროგრამაში დამატებითი თანხის გათვალისწინება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან (**01-01213193251; 15.11.2021**) დაკავშირებით სატრანსპორტო საკითხთა კომისიის რეკომენდაცია გადაეგზავნოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს.

2. **"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032132137-03; 17.11.2021):**

გ.თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, იზრდება ქონების გადასახდიდან მისაღები შემოსავლები - **24 843,9 ათასი** ლარით და არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - **17 361,0 ათასი** ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება **- 42 204,9 ათასი** ლარით და შეადგენს **1 270 531,8** ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) - **34 000,0 ათასი** ლარით.
- სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) - **500,0 ათასი** ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) **- 3 400,0 ათასი** ლარით.

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - **722,9 ათასი** ლარით.
- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) -**982,8 ათასი** ლარით.
- თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - **1 941,1 ათასი** ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 201 097,6 ათასი** ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება **69 434,2 ათასი** ლარით.

ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 132 243,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბიუჯეტის მთლიანი სალდო **54 699,2 ათასი** ლარით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032132137-03; 17.11.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032131933-03; 15.11.2021):

დ.ჯაიანი - როგორც მოგეხსენებათ თბილისის საკრებულოში შემოსულია საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს ლოტი

№2-დან №90 მარშრუტის, ლოტი №3-დან №№22, 25, 129, 151, 173 მარშრუტების, ლოტი №4-დან №217 მარშრუტის, ლოტი №5-დან №№3, 93, 106, 115, 205, 216 მარშრუტების გაუქმებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. კონკრეტულად, პროექტის თანახმად დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტიდან ამოღებულია გარკვეული ქვეპუნქტები, ამასთანავე ახალი რედაქციით ყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე ქვეპუნქტი:

გ.გ) №№16,38,124,208 მარშრუტებზე - 0,6 ლარის ოდენობით;

გ.დ)№№ 7,42,53,80,182 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;

დ.გ) № 87 მარშრუტზე - 0,6 ლარის ოდენობით;

ე.დ) №№5, 28, 54, 55, 70, 71, 84, 91, 95, 103, 105, 113, 119, 155, 156, 162, 185, 189,190, 191, 199 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;

დადგენილება ამოქმედდება 2021 წლის 1 დეკემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M_2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032131933-03; 15.11.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების**

შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032131933-03; 15.11.2021):

ვ.აბულაძე - წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შედის ზ/ა დადგენილებაში და დადგენილების პირველი პუნქტი ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს: ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 12 ნოემბრის №21.1546.1735 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 12 ნოემბრის №21.1546.1735 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტები, დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 12 ნოემბრის №21.1546.1735 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების განრიგი, დანართი 3-ის შესაბამისად;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 12 ნოემბრის №21.1546.1735 განკარგულების პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელი კილომეტრი, დანართი 4-ის შესაბამისად.“.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საკრებულოს მიერ დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ში, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დანართი 2-ში და მის შემადგენელ დანართი 3-ის და დანართი 4-ის ნაწილში შედის ცვლილებები.

უნდა აღინიშნოს, რომ მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით (შესაბამისი შეზღუდული ვადით), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, განახორციელოს მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში.

ზ/ა გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დროებითი ღონისძიების სახით ამოქმედებულ იქნა M_2 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტები, ასევე, დაკორექტირდა გარკვეულ მარშრუტებზე ჩართული ავტობუსების რაოდენობა, კერძოდ:

ლოტი #1-ის ფარგლებში ამოქმედდა 5 მარშრუტი (N449, N450, N481, N484, N485) და დაკორექტირდა N401 მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობა.

ლოტი #2-ის ფარგლებში ამოქმედდა 8 მარშრუტი (N407, N412, N418, N427, N478, N493, N434, N525) და დაკორექტირდა N466 და N476 მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობა.

ლოტი #3-ის ფარგლებში ამოქმედდა 7 მარშრუტი (N422, N435, N451, N468, N473, N490, N529) და დაკორექტირდა N504 და N576 მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობა.

ლოტი #4-ის ფარგლებში ამოქმედდა 4 მარშრუტი (N417, N433, N430, N487) და დაკორექტირდა N426 მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობა.

ლოტი #5-ის ფარგლებში ამოქმედდა 5 მარშრუტი (N405, N406, N516, N415, N438) და დაკორექტირდა N401, N410, N413, N420 მარშრუტებზე ჩართული ავტობუსების რაოდენობა.

განხორციელებული ცვლილებებით, სხვადასხვა მარშრუტებზე ჩართული ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობები განისაზღვრა: ლოტი #1-ზე 86 ერთეული, ლოტი #2-ზე 82 ერთეული, ლოტი #3-ზე 72 ერთეული, ლოტი #4-ზე 97 ერთეული, ლოტი #5-ზე 97 ერთეული. <u>ჯამში 434 ერთეული.</u>

ამასთან, ზოგიერთი ახალი მარშრუტის ამოქმედებამ გამოიწვია უკვე არსებული მარშრუტების სრული გადაფარვა, რის გამოც საჭირო გახდა მათი დანართი 1-დან ამოღება. ასევე, ცვლილებები შევიდა დანართი 1-ში მარშრუტების მაქსიმალურ რაოდენობებში.

დადგენილება ამოქმედდება 2021 წლის 1 დეკემბრიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032131933-03; 15.11.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე